საქართველოში არასათანადო მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2011- 2013 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში

(საანგარიშო პერიოდი 2010 - 2011 წწ. ივნისი)

1. არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შემდგომი წარმართვა

1.1. <u>არსებული საკანონმდებლო ბაზის შესწავლა და ხარვეზების გამოვლენა</u>

2010 წლის 1 ოქტომბერს ძალაში შევიდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. კოდექსის ამოქმედებით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებულ სისხლის სამართლის პროცესს, რომელშიც ძირითადი აქცენტი გამახვილებულია ბრალდებისა და დაცვის მხარეებისათვის თანაბარი პირობების შექმნაზე, რათა მათ სრულყოფილად შეძლონ გამოძიების დროს მტკიცებულებების მოპოვება, ხოლო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას _ მათი წარმოდგენა და გამოკვლევა.

კოდექსის შემუშავავებაში სხვადასხვა დროს მონაწილეობას იღებდნენ ქართველი და უცხოელი ექსპერტები, არამსათავრობო ორგანიზაციები, საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენლობები და საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის: აშშ-ს საელჩოს იუსტიციის დეპარტამენტი (US Department of Justice), გერმანიის ტექნიკური დახმარების ორგანიზაცია (GTZ), ამერიკის იურისტთა ასოციაცია (ABA), ევროპის საბჭო, ევროკავშირი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თავისუფლების ინსტიტუტი და სხვ.

არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გათვალისწინებული მთელი რიგი პრინციპები. წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის განსაკუთრებით აღსანიშნავია პიროვნების ღირსების ხელშეუვალობის პრინციპი, რომლის თანახმადაც მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი და პროცესის სხვა მონაწილეები, სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე ვალდებული არიან, დაიცვან სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა ღირსება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. ამასთან, დაუშვებელია ადამიანის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედება წამების, ძალადობის, სასტიკი

მოპყრობის, მოტყუების, სამედიცინო ჩარევის, ჰიპნოზის, ასევე სხვა ისეთი ღონისძიებების გამოყენებით, რომლებიც ზემოქმედებენ ადამიანის მეხსიერებასა ან აზროვნებაზე. აგრეთვე დაუშვებელია მუქარა ან პირისათვის ისეთი შეღავათების დაპირება, რაც კანონით არ არის გათვალისწინებული.[1]

ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობის პრინციპი თავის მხრივ გულისხმობს, რომ სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სპეციალური ნორმების საფუძველზე, ხოლო პირის დამნაშავედ ცნობა და მისთვის სასჯელის შეფარდება მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებაა. ამასთან, უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას.[2]

ზემოთაღნიშნული პრინციპების გარდა, საპროცესო კოდექსის მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც ხდება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანა.

კოდექსი ნათლად მიუთითებს, რომ დაუშვებელია საპროცესო შეთანხმების დადება, რომელიც ბრალდებულს უზღუდავს უფლებას, წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შემთხვევაში მოითხოვოს შესაბამის პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.[3]

გარდა ამისა, სასამართლო ვალდებულია, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე ბრალდებულისგან დარწმუნდეს, რომ მის მიმართ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს არ გამოუყენებიათ წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა. მოსამართლე ვალდებულია, განუმარტოს ბრალდებულს, რომ მის მიერ წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე საჩივრის შეტანა ხელს არ შეუშლის კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას.[4]

---

[1] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მე-4 მუხლი.
[2] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 218 (8) მუხლი.
[3] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 210 (5) მუხლი.
[4] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 212 (4) მუხლი.

ამასთან, ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად განთავისუფლება დაუშვებელია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 (წამება), 144^2 (წამების მუქარა) და 144^3 (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე.[5]

ახალი საპროცესო კოდექსის პარალელურად, 2010 წლის 1 ოქტომბერს ძალაში შევიდა განახლებული პატიმრობის კოდექსი, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პატიმრების მდგომარეობა. კოდექსი შეიმუშავა სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭომ ექსპერტების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით. კანონპროექტი გადაეგზავნა ევროსაბჭოს ექსპერტიზისთვის და შემდგომ მათ მიერ გაკეტებული რეკომენდაციები მხედველობაში იქნა მიღებული საქართველოს მთავრობის მიერ. ახალი კოდექსი მაქსიმალურადაა მორგებული საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებს. პატიმრობის კოდექსი აყალიბებს ახალ მიდგომებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: პირობით ვადამდე გათავისუფლება, პატიმართა ურთიერთობა გარე სამყაროსთან, პენიტენციური ჯანდაცვის სისტემა, გასაჩივრების პროცედურა და დისციპლინალური პასუხისმგებლობა.

ახალი კოდექსი განსხვავებულ მიდგომებს აყალიბებს დისციპლინური წარმოების, გასაჩივრების პროცედურისა და საპატიმროების რეჟიმების მიმართ. კოდექსის მიღების შედეგად, შეიცვალა სასჯელაღსრულების დაწესებულებების რეჟიმები და ტიპები, და განისაზღვრა, როგორც: ნახევრად-ღია, დახურული, სამედიცინო, არასრულწლოვანთა დაწესებულება და ქალთა საპატიმრო. სასჯელაღსრულების დაწესებულებების რეჟიმები და ტიპების ცვლილების გამო, საჭირო გახდა ახალი დებულებების შექმნა. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 30 მაისის #97 ბრძანების საფუძველზე შემუშავებულ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებათა ახალი დებულებები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ახალი პატიმრობის კოდექსის შესაბამისად, წამებასთან, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრები განეკუთვნება განსაკუთრებულ შემთხვევას და განხილული უნდა

[5] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 212 (8) მუხლი.

იქნეს დაუყოვნებლივ. საჩივრების შესახებ არა უგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს დაწესებულების დირექტორს.[6]

1.2. <u>მთავარი პროკურატურის მიერ იმ ინფორმაციის აღრიცხვა, რომელიც შეეხება საჯარო მოხელეთა მიერ არასათანადო მოპყრობის ფაქტებს</u>

მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო სისტემატიურად ახორციელებს საჯარო მოხელეების მიერ არასათანადო მოპყრობის ფაქტების აღრიცხვას. [7] სამმართველო სისტემატიურად იღებს ცნობებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსგან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სხეულის დაზიანებით მოთავსებული პატიმრების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე სამმართველო ახორციელებს ვიზიტს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, რათა მოხდეს არასათანადო მოპყრობის პრევენცია, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში სათანადო რეაგირების მოხდენა. საჯარო მოხელეთა მიერ განხორციელებული წამების, არასათანადო/დამამცირებელი მოპყრობის ფაქტების გამოვლენის მიზნით სამმართველოს ინფორმაციას აწვდიან მთავარი პროკურატურის ქვედანაყოფები.

სამმართველოს მიერ წარმოებული სტატისტიკის თანახმად, 2010 წელს გამოძიება დაიწყო 18 საქმეზე 144^1 მუხლის (წამება) საფუძველზე და 11 საქმეზე 144^3 მუხლის (არაადამიანური მოპყრობა) საფუძველზე. 2011 წლის საანგარიშო პერიოდის მონაცემებით კი 144^1 მუხლი გახდა გამოძიების დაწყების საფუძველი 7 საქმეზე.

1.3. <u>არასათანადო მოპყრობის დაზარალებულთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ინფორმაციული ხელშეწყობა</u>

2011 წლის 15 თებერვლის N77 დადგენილების „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ“ თანახმად, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია უზრუნველყოფილია საერთაშორისო სტანდარტებისა და 2007 წელს მინისტრის მიერ დამტკიცებული ბრძანების შესაბამისად. „ფსიქიკური

[6] პატიმრობის კოდექსი, მუხლი 105 (1)
[7] სამმართველო დაარსდა იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 2 ოქტომბრის №192 ბრძანების საფუძველზე.

ჯანმრთელობის“ პროგრამის ბიუჯეტი 2010 წელთან შედარებით გაიზარდა დაახლოებით 800 000 ლარით.

2. არასათანადო მოპყრობის გამოვლენა და პრევენცია შიდა და გარე მონიტორინგის მეშვეობით

2.1. შიდა მონიტორინგის გამართული მუშაობა

საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების შიდა მონიტორინგს ახორციელებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა სამმართველო და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შტაბის სამსახური. ადამიანის უფლებათა სამმართველოს უფლებამოსილებები გაწერილია სამინისტროს დებულებაში, ხოლო დეპარტამენტის დებულება ითვალისწინებს შტაბის თანამშრომლების უფლება–მოვალეობებს. 2011 წლის 25-27 იანვარს ადამიანის უფლებათა სამმართველოსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შტაბის თანამშრომლებმა განახორციელეს აღმოსავლეთ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების სანიტარულ-ჰიგიენური შემოწმება. შემოწმდა საცხოვრებელი კორპუსები, საამანათოები და სასადილოები.

შიდა მონიტორინგის განხორციელებაში აქტიურად არის ჩართული შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოც.[8] სამმართველო ახორციელებს დროებითი მოთავსების იზოლატორში (დმი) განთავსებულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს. იგი აქტიურად თანამშრომლობს სახალხო დამცველის აპარატთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველო სისტემატურად ახორციელებს საქალაქო და რეგიონალური იზოლატორების შიდა მონიტორინგს. ამ მიზნით, მთავარ სამმართველოში არის შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც 4 ადამიანისაგან შედგება და ახორციელებს მოულოდნელ ვიზიტებს საქართველოს მასშტაბით ყველა დმი-ში. მონიტორინგის პროცესი საფუძვლიანია და მოიცავს შემდეგს:

[8] სამმართველო დაარსდა შინაგან საქმეთა მინისტრის 2001 წლის 16 იანვრის №10 ბრძანების საფუძველზე.

- დაკავების პირობების მონიტორინგი - ტექნიკური და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, დაკავებულ პირთა საკანში არსებული პირობები, არიან თუ არა დაკავებული პირები უზრუნველყოფილნი ჰიგიენური საშუალებებით, გასეირნების უფლება და ა.შ.
- დმი-ს თანამშრომლების მონიტორინგი - არის თუ არა ყველა თანამშრომელი ადგილზე, ფიქსირდება თუ არა ფორმის დარღვევა, უკეთია თუ არა სამკერდე ბარათი, აწარმოებს თუ არა დაკავების ჩანაწერებს, აწვდის თუ არა დაკავებულს შესვლისთანავე მისი უფლებების წერილობით ნუსხას და ა.შ;
- დმი-ში მოთავსებული დაკავებული პირების მონიტორინგი - სხეულის დაზიანებების დაფიქსირება, ადვოკატის და/ან ექიმის ვიზიტის დაფიქსირება, პრეტენზია-საჩივრების დაფიქსირება.

2010 წელს შსს მთავარი სამმართველოს მონიტორინგის ჯგუფმა განახორციელა 15 გასვლა, სულ განხორციელდა 315 ვიზიტი. 2011 წლის პირველ ნახევარში კი მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხორციელდა 7 გასვლა, რომლის დროსაც დროებითი მოთავსების იზოლატორებში (ყველა იზოლატორში საქართველოს მასშტაბით) სულ განხორციელდა 145 ვიზიტი.

არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენისა და პრევენციის მიზნით, შსს-ში მოქმედებს საჩივრებზე დროული და ეფექტური რეაგირების სისტემა: იმ შემთხვევაში თუ დაკავებულ პირს გააჩნია რაიმე სახის პრეტენზია დამკავებელის ან დმი-ს პერსონალის მიმართ, მონიტორინგის ჯგუფი დაუყოვნებლივ უგზავნის მის საჩივარს და ყველა თანდართულ დოკუმენტს შსს-ში მოქმედ მონიტორინგის მთავარ ორგანოს - გენერალურ ინსპექციას, რომლის ამოცანაა შსს თანამშრომელთა მიერ ადამიანის უფლებების და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენა, აღკვეთა და პროფილაქტიკა, ასევე მოქალაქეთა ინდივიდუალური საჩივრების განხილვა. გენერალური ინსპექცია ახორციელებს საქართველოს შსს პერსონალის მიერ ჩადენილი დარღვევების გამოძიებას საქართველოს შსს დისციპლინური წესდებისა და პოლიციის ეთიკის კოდექსზე დაყრდნობით.

მონიტორინგის ჯგუფიდან გენერალურ ინსპექციაში შემოსული ყველა საჩივარი, იგზავნება საქართველოს პროკურატურაში, როგორც ზემდგომ უწყებაში, რომელიც თავის მხრივ იწყებს გამოძიებას არსებულ საქმეზე.

საანგარიშო პერიოდისათვის (იანვარი-მაისი 2011), სულ 406 შსს თანაშრომელის მიმართ მიღებულ იქნა სხვადასხვა სახის დისციპლინური (თუ სხვა სახის) ზომები, აქედან:

1. შენიშვნა _ 37
2. საყვედური _ 112
3. სასტიკი საყვედური _ 103
4. თანამდებობიდან ჩამოქვეითება _ 2
5. დათხოვნა _ 105
6. სარეკომენდაციო ბარათი _ 21
7. სამსახურიდან გათავისუფლება _ 3
8. გაფრთხილება _ 2
9. სისხლის სამართლის სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის დაკავებული იქნა 19 თანამშრომელი.

2.2. თბილისის აეროპორტის საზღვარზე დაკავების პროცედურების გაუმჯობესება

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, თბილისის აეროპორტში არსებობს დაკავების 2 ოთახი, აქედან 1 გათვალისწინებულია მამაკაცებისთვის, ხოლო მეორე ქალებისთვის და ბავშვებისთვის. აღნიშნულ ოთახში ხდება იმ პირთა განთავსება, რომელთაც აეროპორტში, საქართველოში შემოსვლაზე ეთქვათ უარი სავიზო რეჟიმის დარღვევის გამო. აღნიშნული პირები დაკავების ოთახში რჩებიან იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მათი დაბრუნება გამომგზავრების ქვეყანაში.

დაკავების ოთახში დაცულია აუცილებელი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და არსებობს სააღრიცხვო ჟურნალი, სადაც ხდება ოთახში განთავსებული პირების შესახებ ინფრომაციის აღწერა. აღნიშული ინფორმაცია მოიცავს: დაკავებული პირის შესახებ ინფორმაციას (სახელი, გვარი, დაბადების წელი, სქესი), ოთახში განთავსების თარიღს, დაკავების ოთახში ყოფნის ხანგრძლივობას, უკან გამგზავრების შესახებ ინფორმაციას და ა.შ. საანგარიშო პერიოდში დაკავების ოთახში განთავსებული იყო სამი მამაკაცი, რომელთა დაბრუნება შემოსვლის ქვეყანაში განხორციელდა ჩამოსვლიდან 2 დღეში.

2.3. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში თავისუფლებაშეზღუდულ პირთა მოთავსების, რეგისტრაციის და აღრიცხვის შემდგომი დახვეწა

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში თავისუფლებაშეზღუდულ პირთა მოთავსების, რეგისტრაციის და აღრიცხვის შემდგომი დახვეწის მიზნით, დაინერგა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა, რაც საშუალებას იძლევა მოქნილი და სწრაფი მეთოდებით მოხდეს თავისუფლებაშეზღუდულ პირთა აღრიცხვა. გარდა ამისა, ელექტრონული სისტემის დახმარებით, უზრუნველყოფილი იქნა მონაცემების უფრო ზუსტი და ორგანიზებული შენახვა, მოთხოვნის შემთხვევაში მათი სწრაფი გადამოწმების შესაძლებლობით. ამჟამად, თავისუფლებაშეზღუდულ პირთა დაწესებულებაში განთავსებისთანავე ხდება მათი მონაცემების აღრიცხვა ელექტრონულ სისტემაში.
2010 წლის 31 დეკემბრის მონაცემით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა საერთო რაოდენობა შეადგენდა 23 959–ს. 2011 წლის ივნისის მონაცემებით დაწესებულებებში იმყოფებოდა 24 124 პატიმარი.

2.4. შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორში მოყვანილი დაკავებულების გარეგნული დათვალიერება და შესაბამისი ოქმების შევსება

შსს დროებით მოთავსების იზოლატორში ყველა პირის შესვლისთანავე, იზოლატორის პასუხისმეგებელი მორიგე ატარებს მას მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში/სარეგისტრაციო წიგნში და ახორციელებს მის პირად დათვალიერებას (რა ნივთებით შევიდა, რა აცვია და სხვ.)

საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, დათვალიერება ხორციელდება იმავე სქესის წარმომადგენლის მიერ. დათვალიერების შემდეგ დგება შესაბამისი ოქმი. მხოლოდ ამის შემდეგ ახდენს უფლებამოსილი თანამშრომელი პირის გარეგნულ დათვალიერებას და სინჯავს მას განცალკევებულ ოთახში. აღნიშნულთან დაკავშირებით, დმი-ს თანამშრომელი ადგენს დაკავებულის გარეგნული დათვალიერების ოქმს, რომელშიც აუცილებლად უთითებს ოქმის შედგენის თარიღსა და დროს,

დამთვარიებელის და დათვალიერებულის მონაცემებს, სხეულზე არსებული ჯანმრთელობის დაზიანებებს (თუ არსებობს ასეთი), თუ სად მიიღო აღნიშნული დაზიანებები და რა ვითარებაში და ვის მიერ, დათვალიერებულის ახსნა-განმარტებასა და საჩივრებს.

იმ შემთხვევაში, თუ დაკავებული უჩივის ჯანმრთელობის მდგომარეობას ან სხეულზე აღენიშნება ავადმყოფობის აშკარა ნიშნები, იზოლატორის მორიგე იძახებს შსს სამედიცინო პერსონალს. იმ შემთხვევაში, თუ დაკავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, იზოლატორის მორიგე იძახებს სასწრაფო დახმარებას და დაკავებული გადაყავთ უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში.

თუ სამედიცინო პერსონალის დასკვნით, დაკავებული პირის განთავსება არ შეიძლება იზოლატორში, მას აგზავნიან სამკურნალოდ სამედიცინო დაწესებულებაში. აღნიშნულ დაწესებულებაში სამკურნალოდ მყოფი პირის დაცვა და ბადრაგირება ხორციელდება კანონით დადგენილი წესით.

2010 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსდა 21626 პირი, აქედან : 453 არასრულწლოვანი და 971 ქალი; 8657 ადამიანს შეეფარდა ადმინისტრაციული სასჯელი.

2011 წლის პირველ ნახევარში დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებულ პირთა საერთო რაოდენობაა 8296. აქედან: 198 არასრულწლოვანი და 321 ქალი; 3600 ადამინს შეეფარდა ადმინისტრაციული სასჯელი.

2.5. გარე მონიტორინგის შეუფერხებელი მუშაობის ხელშეწყობა

2009 წლის 16 ივლისს "სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად სახალხო დამცველის ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს. საქართველოს სახალხო დამცველი ან სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი ამოწმებს დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და

თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას.

გარდა სახალხო დამცველის სისტემატიური მონიტორინგისა, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ვიზიტებს პერიოდულად ახორციელებს ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტიც, რათა შეაფასოს, თუ როგორ ეპყრობიან თავისუფლებააღკვეთილ პირებს. ეს ადგილები მოიცავს: ციხეებს, არასრულწლოვანთა დაკავების ადგილებს, პოლიციის განყოფილებებს, იმიგრირებულ პირთა დაკავების ადგილებს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს, სოციალური დაცვის სახლებს და სხვ.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დელეგაციები სარგებლობენ შეუზღუდავი შესვლისა და გადაადგილების უფლებით დაკავების ადგილებში. ისინი პირადად ესაუბრებიან თავისუფლებააღკვეთილ პირებს და ასევე თავისუფლად უკავშირდებიან ნებისმიერ ადამიანს, ვისაც კი შეუძლია ინფორმაციის მიწოდება. კომიტეტის ვიზიტის შედეგად მზადდება ანგარიში, რომელიც აერთიანებს შეფასებებსა და რეკომენდაციებს. კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად, აღნიშნული ანგარიში კონფიდენციალურია და საჯარო გახდება მხოლოდ მხარის მოთხოვნის შემთხვევაში (მუხლი 11(2)).

აღსანიშნავია, რომ ქართული მხარე დათანხმდა როგორც კომიტეტის ვიზიტს, ისე მის მიერ მომზადებული ანგარიშის გამოქვეყნებას. (ანგარიში ხელმისაწვდომია კომიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: http://www.cpt.coe.int/documents/geo/2010-27-inf-eng.htm).

კომიტეტმა უკანასკნელი ვიზიტი განახორციელა 2010 წლის 5-15 თებერვალს. კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, „დელეგაციასთან აქტიურად თანამშრომლობდნენ სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები, დელეგაციას ჰქონდა საშუალება, განეხორციელებინა ვიზიტი ნებისმიერ დაწესებულებაში, მათ შორის წინასწარ შეუთანხმებელ თავისუფლების აღკვეთის ადგილებშიც, დელეგაციას მიეცა შესაძლელობა, გასაუბრებოდა პატიმრებს პირადად, ნებისმიერი გარეშე პირის დასწრების გარეშე[...].“[9]

2.6. პატიმართათვის საჩივრის კონვერტის დამზადება და გავრცელება

[9] წამების საწინააღმდეგო კომიტეტის 2010 წლის 21 სექტემბრის ანგარიში, პარაგრაფი №5.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განთავსებული პირებისთვის სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინიციატივით დამზადდა და პატიმრებისთვის ხელმისაწვდომია სპეციალური კონვერტები. საჩივრის კონვერტებში ნათლად არის განმარტებული თავისუფლებააღკვეთილი პირის უფლებები. უფლებრივი ჩამონათვალი იწყება წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვით.

საჩივრის კონვერტებისთვის განთავსებულია შესაბამისი ყუთი. მათ ფუნქციონირებას მონიტორინგს უწევს დაწესებულების სოციალური სამსახური, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს შიდა მონიტორინგის ორგანოები და ასევე სახალხო დამცველი. საჩივრის კონვერტები დანომრილია და კორესპონდენციის აღრიცხვა ხდება სპეციალურ სარეგისტრაციო წიგნში. 2011 წლის პირველ ნახევარში მოხდა 40 000 კონვერტის დარიგება.

3. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

2011 წლიდან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაიწყო ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს ძირეული რეფორმის პროცესი. მიმდინარე რეფორმა ითვალისწინებს ფსიქიკური ჯანდაცვის საკითხისადმი ტრადიციულად არსებული პრაქტიკისაგან ძირეულად განსხვავებულ ინსტიტუციურ მიდგომას. რეფორმის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ფსიქიურად დაავადებულთათვის მოკლევადიანი და გრძელვადიანი საცხოვრებლის შექმნა.

2011 წლის ივნისის მდგომარეობით, ქ. თბილისში განყოფილებების რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია დამთავრებულია 3 მულტიპროფილურ (მათ შორის 1 კერძო კლინიკა), 1 სპეციალიზირებულ და რეგიონებში 3 სპეციალიზირებულ კლინიკაში, კერძოდ:

- შპს „N5 კლინიკური საავადმყოფოში“ შეიქმნა 30 საწოლიანი მწვავე მდგომარეობისათვის განკუთვნილი განყოფილება;
- სს „აკად. ო ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ ბაზაზე შეიქმნა 30 საწოლიანი მწვავე მდგომარეობისათვის განკუთვნილი განყოფილება;

- შპს „რეფერალური ჰოსპიტალის“ ბაზაზე შეიქმნა 30 საწოლიანი მწვავე მდგომარეობისათვის განკუთვნილი განყოფილება;
- სს „მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტის“ ბაზაზე, რომელიც იცვლის ადგილმდებარეობას და გადადის ქავთარაძის ქ. N21ა-ში, შეიქმნა 40 საწოლიანი მწვავე და 40 საწოლიანი ქრონიკული მდგომარეობებისათვის განკუთვნილი განყოფილებები;
- ქ. რუსთავი, შპს „რუსთავის ფსიქონევროლოგიური დისპანსერის ბაზაზე შეიქმნა 22 საწოლიანი ქრონიკული მდგომარეობისათვის განკუთვნილი განყოფილება;
- ქ. ქუთაისი, შპს „ქუთაისის ივ. სხირტლაძის სახ. სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერის„ ბაზაზე შეიქმნა 30 საწოლიანი ქრონიკული მდგომარეობისათვის განკუთვნილი განყოფილება;
- ქ. ბათუმი, შპს „რესპუბლიკური კლინიკური ფსიქონევროლგოიური საავადმყოფოს“ ბაზაზე შეიქმნა 30 საწოლიანი ქრონიკული მდგომარეობისათვის განკუთვნილი განყოფილება.

სასჯელაღსრულების სისტემაში შემავალი დაწესებულებების კუთხით განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები:

<u>2010 წელი</u>

- გაიხსნა ქსნის # 15, რუსთავის #16 და ქალთა # 5 სასჯელაღსრულების დაწესებულებები.
- ქსნის #7 (ამჟამად #15) სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიოტრიაზე გაიხსნა ქარხანა.
- გეგუთის # 14 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დასრულდა მე4 ბლოკის სარემონტო სამუშაოები.
- 2010 წლის 4 აგვისტოს ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ტერიტორიაზე გაიხსნა რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა განახლებული შენობა.
- არასრულწლოვანთა დაწესებულებაში აშენდა ახალი ადმინისტრაციული კორპუსი და გარემონტდა ძველი.
- ხანგრძლივი პაემნებისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის მშენებლობა დაიწყო რუსთავის # 6, რუსთავის # 16 და არასრულწლოვანთა # 11 დაწესებულებებში.
- ქუთაისის # 2 სასჯელაღსრულების დაწესებულების "E" და "F" კორპუსები გარემონტდა.

• ყველა სამარტოო საკანი რუსთავის # 16 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გარემონტდა.

<u>2011 წელი</u>

• დაბა ქსანში, ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ტერიტორიაზე მიმდინარეობს დამატებითი, 450 კაციანი შენობის მშენებლობა. მშნებლობა დასრულდება 2012 წელს.

• რუსთავი #6 პატიმპრობის ნახევრად ღია და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულებაში დაიწყო სარემონტო სამუშაოები.

• რუსთავის # 6, რუსთავის # 16 და არასრულწლოვანთა # 11 სასჯელაღსრულბის დაწესებულებებში გაიხსნა ხანგრძლივი პაემნებისათვის განკუთვნილი სასტუმროს შესაბამისი სტანდარტის შენობები. მშენებლობა მიმდინარეობს გეგუთის #14 და რუსთავის # 17 დაწესებულებებში.

• რუსთავის #16 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აშენდა საგანმანათლებლო სახლი, ხოლო ქსნის #15 და გეგუთის #14 დაწესებულებებში მიმდინარეობს აღნიშნული საგანმანათლებლო სახლების მშენებლობა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები:

საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო 2009 წელს გაუქმებული იქნა შემდეგი იზოლატორები: ვანი, ონი, ხარაგაული, ტყიბული, ხონი, საჩხერე, წალენჯიხა, აბაშა, მარტვილი, ხულო, ქედა, ხელვაჩაური, შუახევი, ნინოწმინდა, ასპინძა, ქარელი, დმანისი, ლაგოდეხი, დედოფლისწყარო, გურჯაანი, წყალტუბო, ადიგენი, თიანეთი, ცაგერი.

ამავე დროს, სამინისტრო საკმაოდ დიდ რესურს გამოყოფს არსებული იზოლატორების სისტემატური განახლება/გარემონტებისთვის. 2010 წლის მეორე ნახევარში გარემონტდა 16 დროებითი მოთავსების იზოლატორი შემდეგ ქალაქებში: მარნეული, ახალციხე, ჭიათურა, ბორჯომი, ხობი, ქუთაისი, ფოთი, რუსთავი, საგარეჯო, სენაკი, სიღნაღი, ზესტაფონი, ბათუმი, თბილისი, ხაშური, გორი. 2010 წელს დაიწყო და 2011 წლის დასაწყისში დასრულდა ყვარლის იზოლატორის რემონტი. ასევე, 2011 წლის დასაწყისში დაიწყო და ამჟამად მიმდინარეობს სამტრედიისა და ბაღდადის იზოლატორების რემონტი.

3.1.თავისუფლებისშეზღუდვის დაწესებულებებში კვების ხარისხზე ზედამხედველობა

პატიმრების კვებაზე გამოყოფილი ყოველთვიური თანხა მნიშვნელოვნად გაიზარდა: 2003 წელს თითოეული პატიმრის კვებაზე 23.5 ლარი იხარჯებოდა. 2008 წლის ოქტომბრიდან ეს თანხა 90 ლარს შეადგენს. მას შემდეგ, რაც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კერძო კომპანია შემოვიდა, რომელიც კვებაზე იღებს პასუხისმგებლობას, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კვების ხარისხი მთელ სისტემაში.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კვების ხარისხზე ზედამხეედველობას უწევენ როგორც დაწესებულების სამედიცინო პეროსონალი, ასევე კვების პროდუქტების მიმწოდებელი კერძო კომპანია. ყოველდღიურად ინახება საკვები პროდუქტების სინჯები, ხოლო შემდეგ მონიტორინგის ჯგუფი ამოწმებს შემადგენლობას.

2010 წელს პატიმრთა კვებაზე დაიხარჯა 26 723 669,33 ლარი. 2011 წელს პატიმართა კვებაზე სულ გამოიყო 28 066 000,00, აქედან ივნისის ჩათვლით დაიხარჯა 13 385 351,42 ლარი.

3.2. თავისუფლებაშეზღუდულ პირთა ჰიგიენური საშუალებებით მომარაგება

2010 წელს სასჯელაღსრულების დაწესებულებებს მიეწოდათ შემდეგი ჰიგიენური საშუალებები:

ხელის საპონი - 2 500 კგ;
სამეურნეო საპონი - 25 000 კგ;
სარეცხი ფხვნილი ხელით რეცხვისათვის - 24 000 კგ;
სარეცხი ფხვნილი ავტომატური რეცხვისათვის - 7 400 კგ;
ფხვნილოვანი ქლორი - 5 000 კგ;
კბილის პასტა - 2 150 კგ;
კბილის ჯაგრისი - 6 000 ცალი;
ტუალეტის ქაღალდი - 42 000 ცალი;
საპარსი საშუალება - 186 000 ცალი

2011 წლის 1 იანვრიდან - 13 ივნისამდე სასჯელაღსრულების დაწესებულებებს მიეწოდათ შემდეგი ჰიგიენური საშუალებები:
ფხვნილოვანი ქლორი - 1290 კგ.
სამეურნეო საპონი - 3817,66 კგ.
სარეცხი ფზვნილი ხელით რეცხვისათვის - 11693,2 კგ.
სარეცხი ფხვნილი ავტომატური რეცხვისათვის - 7589,2 კგ.

2011 წლის 15 თებერვლის N77 დადგენილება „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ“ არეგულირებს ჰიგიენური საშუალებების მიწოდებას ფსიქიატრიულ დაწესებულებებში.

შსს დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური და საერთო პირობები უზრუნველყოფს ადამიანის ღირსეულ არსებობას. იზოლატორების ადმინისტრაცია უზრუნველყოფს იზოლატორების ჰიგიენის სათანადო დონეზე დაცვას და პირის მომარაგებას ჰიგიენური საშუალებებით. თუ პირის განთავსება იზოლატორში ხდება 72 საათით, ადმინისტრაცია მოსვლისთანავე უზრუნველყოფს პირს ჰიგიენური საშუალებებით, ხოლო მოგვიანებით - მოთხოვნის საფუძველზე, თუ იზოლატორში განთავსებულ პირს გათვალისწინებული აქვს ადმინისტრაციული პატიმრობა ადმინისტრაციული სახდელის სახით, პირის უზრუნველყოფა პირადი ჰიგიენით ხდება ყოველდღიურად.
2010 წელს თავისუფლებაშეზღუდულ პირთა ჰიგიენური საშუალებებით მომარაგებაზე დეპარტამენტის ბიუჯეტიდან გამოიყო 241 528 ლარი, ხოლო 2011 წელს – 221 701 ლარი.

3.3. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება

შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს დროებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და მათ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

ყველა იზოლატორში უზრუნველყოფილია წყალმომარაგება, სანიტარული პირობები, გათბობა, სამჯერადი კვება. თუ იზოლატორში განთავსებულ პირს

გათვალისწინებული აქვს ადმინისტრაციული პატიმრობა ადმინისტრაციული სახდელის სახით (არანაკლენ 15 დღის ვადით), იგი ყოველ დღე (1 საათით) სარგებლობს სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლებით. 2010 წლის განმავლობაში დროებითი იზოლატორების განახლებაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტიდან გამოიყო დაახლოებით 800 000 ლარი, ხოლო 2011 წელს დაახლოებით – 421 600 ლარი. შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი დაკავების იზოლატორში მყოფი პირებისათვის გაზეთებისა და წიგნების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია
შსს დროებითი მოთავსების იზოლატორების ადმინისტრაციის მიერ.

3.4. სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული სტაციონარული დაწესებულებების ლიცენზირება

პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ლიცენზირება მოხდა 2011 წლის 8 აპრილის მინისტრის ბრძანებით. "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონში 2011 წლის 17 მაისში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული სტაციონარული დაწესებულებები ასევე დაექვემდებარა სახელმწიფო რეგულაციებს, კერძოდ ნებართვის რეჟიმს. სანებართვო პირობები დამატებით რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებით "სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულებების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე". ამბულატორიულ პირობებში მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის მათ შორის ტუბერკულოზის მკურნალობის საკითხი კი რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №359 დადგენილებით "მაღალი რისკის შემცველი სამედიიცნო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე".

2011 წელს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 11 ივლისის #121 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის სამეთვალყურეო საბჭო.

სამეთვალყურეო საბჭოს მიზნებია: პენიტენციური სისტემის ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების მხარდაჭერა, პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის სტრატეგიული გეგმის შემუშავების ხელშეწყობა, რეფორმისათვის საჭირო დამატებითი ფინანსური წყაროების მოზიდვა და რეფორმის მიმდინარეობის პროცესზე ზედამხედველობა; სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობს საქართველოს პირველი ლედი, ხოლო საბჭოს თანათავმჯდომარეები არიან საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრები; სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე სახალხო დამცველისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები;

4. შესაბამისი უწყებების თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარება

4.1. პოლიციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების გაგრძელება ტრეინინგების გზით ძალის გამოყენების სტანდარტებთან დაკავშირებით

შსს აკადემია დიდ ყურადღებას უთმობს პოლიციის თანამშრომელთა მომზადებას და გადამზადებას ძალის გამოყენების სამართლებრივ საკითხებზე. ძალის გამოყენების კურსი საბაზისო და გადამზადების კურსის ნაწილია და მისი შესწავლა სავალდებულოა პოლიციის ყველა თანამშრომლისათვის. კურიკულუმი შემუშავებულ იქნა აკადემიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით და მოიცავს ტაქტიკური მომზადების ინტენსიურ კურსს, ეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვას და ადამიანის უფლებების საკითხებს.

შსს აკადემიის მსმენელები ასევე გადიან სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ კურსს. კურსი მოიცავს როგორც თეორიულ მიმოხილვას, ასევე როლურ თამაშებსა და სიმულაციებს ძალის მინიმალური გამოყენებით ძებნისა და დაკავების ოპერაციების განხორციელების შესახებ. კურსის დამთავრების შემდეგ გათვალისწინებულია პრაქტიკული გამოცდა, გამოცდის ვერ ჩაბარების შემთხვევაში, მსმენელი ირიცხება აკადემიიდან.

2010 წელს შსს აკადემიაში ჩატარდა შემდეგი ტიპის კურსები:

საბაზისო მომზადების კურსი, რომელიც მოიცავს ძალის გადამეტების შესახებ ტრეინინგებს:

- პატრული-ინსპექტორი: 215
- უბნის ინსპექტორი: 602
- მესაზღვრე: 217
- პატრული მესაზღვრე კონტროლიორი: 17
- სოდ: 29

გადამზადების კურსები გაიარა:

- დეტექტივი: 329
- დეტექტივის თანაშემწე: 911
- დეტექტივი და დეტექტივის თანაშემწე (დაწინაურება): 1021
- პატრული ინსპექტორი: 1366
- დაწინაურების კურსები: 93
- სანაპირო დაცვის ოფიცრები: 15

2011 წელს შსს აკადემიაში ჩატარდა შემდეგი ტიპის კურსები:

საბაზისო მომზადების კურსი, რომელიც მოიცავს ძალის გადამეტების შესახებ ტრეინინგებს:

- პატრული-ინსპექტორი - 172 მსმენელი
- უბნის ინსპექტორი - 316 მსმენელი
- მესაზღვრე - 67 მსმენელი
- პატრული მესაზღვრე კონტროლიორი - 67 მსმენელი
- სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი - 47 მსმენელი

გადამზადების კურსები გაიარა:

- დეტქეტივი - 5 თანამშრომელი
- დეტექტივის თანაშემწე - 15 თანამშრომელი
- დეტექტივი და დეტექტივის თანაშემწე (დაწინაურება) – 24 თანამშრომელი
- პატრული ინსპექტორი - 344 თანამშრომელი
- დაწინაურების კურსები - 40 თანამშრომელი
- სანაპირო დაცვის ოფიცრები - 47 თანამშრომელი

- დაცვის პოლიციის ოფიცრები - 564 თანამშრომელი

4.2. შსს დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება დაკავებისას პირის გარეგნული დათვალიერების თაობაზე

2011 წლის იანვარ-თებერვალში შს სამინისტროს ორგანიზებით საქართველოს მასშტაბით ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელს ჩაუტარდა ერთდღიანი ტრეინინგი გარეგნული დათვალიერების შესახებ. ტრეინინგს დაესწრო რეგიონში არსებული ყველა იზოლატორის კომპეტენტური თანამშრომელი, სულ 84 ადამიანი. ტრეინინგის დროს განხილული იყო: დმი-ში განთავსებული პირის გარეგნული დათვალიერება, ასევე ოქმის ტერმინოლოგიის ერთიანი სტანდარტის დანერგვის საკითხები. აღნიშნული ტრეინინგის შედეგად, მოხდა საქართველოს მასშტაბით ყველა დმი-ს პერსონალის კვალიფკაციის ამაღლება, ასევე სისტემაში ტერმინოლოგიის ერთიანი სტანდარტის დამკვიდრება. შინაგან სამეთა სამინისტრო გეგმავს აღნიშნულ ტრეინინგს მისცეს სისტემური ხასიათი და ჩატარდეს წელიწადში მინიმუმ ერთხელ.

4.3. ფსიქიატრიული დაწესებულების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება პაციენტის იზოლირების მეთოდების გამოყენების თაობაზე

2011 წლის 9 თებერვალს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ფონდ "გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში" შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში" (ჰოლანდიური და ქართული ოფისები) აკოორდინირებს პროფესიული/ადამიანური რესურსების განვითარების პროცესს.

პროექტის ფარგლებში ქართველი და უცხოელი (ლიტველი და ჰოლანდიელი) კოლეგების მიერ სატრენინგო მოდულების მომზადება დაფინანსდა ფონდი „ღია საზოგადოების მიერ", ხოლო სატრენინგო პროგრამის დაწყება/მიმდინარეობა შესაძლებელი გახდა UNDP-ის ფინანსური დახმარებით. მომზადებულია შემდეგი მოდულები:

- კლინიკური ფსიქიატრიის მედპერსონალის გადამზადების მოდული;
- სოციალური ფსიქიატრიის მედპერსონალის გადამზადების მოდული;
- კრიზისული ინტერვენციისა და შინ მოვლის სამსახურის გუნდების გადამზადების მოდული;
- ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მედპერსონალის გადამზადების მოდული;
- ფსიქიატრიული ექთნების გადამზადების მოდული;
- მულტიდიციპლინური გუნდი და შემთხვევის მართვის მოდული;
- აგრესიის მართვის მოდული;
- საცხოვრისის მედპერსონალის გადამზადების მოდული;
- ბავშვთა ფსიქიატრიაში მედპერსონალის გადამზადების მოდული.

გადამზადების პროცესი მოიცავს, ფსიქიატრიის დარგის მუშაკთა (ექიმი, ფსიქოლოგი, ექთანი, მომვლელი, სოციალური მუშაკი და სხვა.) კომპეტენციის გაღრმავებას მტკიცებულებებზე დაფუძნებული მკურნალობის, რეაბილიტაციის და მოვლის საკითხების, ახალი სამსახურების და მეთოდოლოგიების შესახებ. პერსონალი ისწავლის ბენეფიციარის აგრესიის და აგზნების მართვას, გუნდურ მუშაობას, და სხვა. ასევე გაეცნობიან კლინიკური და სოციალური ფსიქიატრიის, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის აქტუალურ საკითხებს.

გადამზადების სერია დაიწყო 2011 წლის მაისის თვიდან და ჩატარდება, როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთიდან მოწვეული წამყვანი სპეციალისტების მიერ. დაგეგმილია უცხოელი სპეციალისტების მიერ საქართველოს წამყვანი სპეციალისტების გადამზადება ტრენერებად, რომლებიც შემდეგ გადაამზადებენ ფსიქიატრიის დარგის მედპერსონალს საქართველოს მასშტაბით. აღნიშნული პროგრამა პირველ ეტაპზე მოიცავს ქ. თბილისის მასშტაბით სპეციალიზირებულ დაწესებულებებში მომუშავე მედპერსონალის გადამზადებას, რომელიც გასტანს 2012 წლის მაისის ბოლომდე. ხოლო მეორე ეტაპზე მოიცავს ქართველი ტრენერების მიერ საქართველოს მასშტაბით არსებული დაწესებულებების თანამშრომლების გადამზადებას, რომლებიც საჭიროებენ კონკრეტული უნარების განვითარება/გაუმჯობესებას ახლად დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად. მთლიანი პროექტი სავარაუდოდ 2 წელი გაგრძელდება.

- ტრენინგები დაიწყო 2 – 6 მაისს და ჩატარდა დაცული საცხოვრისების შესახებ. ტრენინგს ესწრებოდა 10 მონაწილე.

- ამავე პერიოდში ტარდებოდა ტრენინგი კრიზისულ ინტერვენციაში, ტრენინგების მონაწილეები იყვნენ კრიზისული ინტერვენციის განყოფილების თანამშრომლები, კერძოდ ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, სოც. მუშაკები და ექთნები. გადამზადებულ მუშაკთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 17.
- 9–13 მაისი ჩატარდა ტრენინგი სათაურით „მულტიდისციპლინარული გუნდი და შემთხვევის მართვა ფსიქიატრიაში“. ტრენინგს ესწრებოდნენ ქართველი სპეციალისტები, სულ 10 პროფესიონალი: ფსიქიატრები, ექთნები, სოც. მუშაკები, ფსიქოლოგები.
- კლინიკურ ფსიქიატრიაში ტრენინგი ჩატარდა 17–21 მაისს. ტრენინგს ესწრებოდნენ ქართველი ექსპერტები, რომლებმაც უკუკავშირი მისცეს ტრენინგის მონაწილეებს. მოდული, რომელიც შეიქმნა გადაეგზავნება უცხოელ ექსპერტებს, შეფასდება და ამის შემდეგ დაიდება მზა პროდუქტის სახით.
- ტრენინგი აგრესიის მართვაში ჩატარებულ იქნა 24–28 მაისს. ტრენინგს ესწრებოდა 15 მონაწილე. მონაწილეები ძირითადად იყვნენ ინსტიტუციების უფროსი ექთნები და ორი ექიმი ფსიქიატრი. მონაწილეები მოწვეულნი იყვნენ თბილისიდან და ასევე საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან (ბათუმი, ხონი, ქუთაისი, თელავი).
- 31 მაისი – 4 ივნისს ტრენინგი ჩატარდა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მომუშავე ექთნების მოსამზადებლად. ტრენინგს ესწრებოდა 10 მონაწილე. მონაწილეები იყვნენ როგორც ექთნები ასევე ექიმი ფსიქიატრები.
- სოციალურ ფსიქიატრიაში ტრენინგი მიმდინარეობდა 13–17 ივნისს და მონაწილეთა რაოდენობა ტრენინგზე შეადგენდა 10 ადამიანს. მათ შორის უმეტესობა იყო ფსიქიატრი, თუმცა ჯგუფში იყვნენ ექთანი და სოც.მუშაკი.
- 20-24 ივნისს ჩატარდა ტრენინგი ბავშვთა ფსიქიატრიაში მეორე – ეტაპი ექთნების მომზადებაში და ასევე – აგრესიის მართვაში.
- 27 ივნისი-1მაისი ჩატარდა მულტიდისციპლინარული გუნდისა და შემთხვევის მართვის ტრენინგი (მეორე ეტაპი).

<u>4.4. მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლების გაგრძელება ტრენინგების გზით დაპატიმრების ალტერნატიული ღონისძიებებით ჩანაცვლების თაობაზე</u>

2010 წლის 26-27 ივნისს ჩატარდა ტრენინგი მოსამართლეებისათვის არასათანადო მოპყრობის საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 22-მა მოსამართლემ. 2011 წლის საანგარიშო პერიოდში, კერძოდ 26-27 მარტს ჩაუტარდა ტრენინგი 9 მოსამართლეს.

2011 წლის მარტში 15 პროკურორს ჩაურარდა ტრეინინგი დაპატიმრების ალტერნატიურ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის ჩაატარა შემდეგი ტრენინგები:

2010 წელი:

- რეჟიმის თანამშრომელთა სასწავლო პროგრამა - მომზადებულია 53 თანამშრომელი
- უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო პროგრამა - 20
- სასწავლო პროგრამა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ - 55
- სასწავლო პროგრამა ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ - 57
- ეროვნული პრევენციის მექანიზმის სასწავლო პროგრამა - 62 თანამშრომელი

2011 წლის ივნისის მდგომარეობით :

- პირველდაწყებითი საბაზისო მომზადების სასწავლო პროგრამა - 62
- ეროვნული პრევენციის მექანიზმის სასწავლო პროგრამა - 82
- სასწავლო პროგრამა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ - 69
- სასწავლო პროგრამა ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ - 65

საანგარიშო პერიოდში დაახლოებით 180–მა ადვოკატმა გაიარა ტრეინინგები არასათანადო მოპყრობასთან, კერძოდ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მე–3 მუხლთან და არასათანადო მოპყრობაზე არსებული სარჩელების სწორად წარმართვასთან დაკავშირებით.

ასევე, 2011 წლის პირველ ნახევარში მოხდა ექიმების, ექთნების, ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკების და სასჯელაღსრულების დაწესებულებების (აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა დაწესებულებიდან და დასავლეთ საქართველოს 5 დაწესებულების - გეგუთის, ზუგდიდის, ქუთაისის, ბათუმის და ხონის) თანამშრომელთა გადამზადება ზოგადად თემზე -"ჯანმრთელობა, როგორც ადამიანის უფლება". 3 დღიანი ტრენინგები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- პაციენტთა უფლებები; კონფიდენციალურობა, ინფორმირებული თანხმობა;
- ჯანმრთელობის უფლება; პატიმართა უფლებები და მათი დაცვის სამართლებრივი მექანიზმები;

- ფსიქიკური ჯანმრთელობა - ბიოფსიქოსოციალური მოდელი; მულტიდისციპლინური მიდგომა;
- წამება, მისი განსაზღვრება; სამედიცინო და ფსიქოსოციალური გამოვლინებები.

სულ გადამზადდა სამედიცინო დეპარტამენტის 166 თანამშრომელი და 50 ე.წ. რეჟიმის თანამშრომელი. პროექტი "პატიმართა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა მათი ჯადაცვის უფლების, მათ შორის ფსიქიკური ჯანდაცვის უფლების ხელშეწყობის გზით" დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება ფონდის "გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში" მიერ (GCRT-ს და საქართველოს ახალგაზრდა იურისტების ასოციაციის პარტნიორობით).

5. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურეობის გაუმჯობესება

2011 წლის 1 აპრილიდან, ჰოლანდიის მთავრობის ხელშეწყობით, სამედიცინო დეპარტამენტმა და ფონდმა "გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში" დაიწყეს პილოტური პროექტის განხორციელება, რომელიც წინასწარი დაკავების დაწესებულებაში მულტიდისციპლინარული მომსახურების პილოტირებას გულისხმობს. ფსიქიატრი, ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკი დაკავებულ ქალებს უწევენ გადაუდებელ კრიზისულ მომსახურებას, კონსულტირებას და ფსიქოლოგიურ დახმარებას. პირველი სამი თვის განმავლობაში მომსახურებით ისარგებლა 48 ქალბატონმა.

5.1. ფსიქიატრიული დაწესებულებების მედიკამენტოზური მომარაგების გაუმჯობესება

2011 წლის 15 თებერვლის N77 დადგენილების „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ" თანახმად მედიკამენტოზური საშუალებებით მომარაგება უზრუნველყოფილია „ფსიქიკური ჯანმრთელობის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. რეაბილიტირებულ დაწესებულებებში შეიცვალა დაფინანსების მეთოდოლოგია. კერძოდ: მოკლევადიანი სტაციონარული მომსახურება ანაზღაურდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით არაუმეტეს ერთი ეპიზოდის ღირებულებისა, რომელიც განსაზღვრულია 840

ლარით, ხოლო გრძელვადიანი სტაციონარული მომსახურება ანაზღაურდება თვის ვაუჩერით, რომლის ღირებულებაც განისაზღვრა 450 ლარით. პროგრამული დაფინანსების ფარგლებში დაწესებულებას მედიკამენტების შერჩევის თავისუფალი არჩევანი აქვს.

5.2. ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტთათვის სამედიცინო, მათ შორის სტომატოლოგიური მომსახურეობის გაუმჯობესება

2011 წლის 15 თებერვლის N77 დადგენილების „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ“ თანახმად, “ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი 2010 წელთან შედარებით დაახლოებით გაიზარდა 800 000 ლარით. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია სტომატოლოგიური მომსახურება და ასევე გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება.

6. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება

6.1. შიდა მონიტორინგის შედეგების საზოგადოებისთვის გაცნობა

სამოქალაქო საზოგადოებასთან, საზოგადოებრივ/საერთაშორისო ორგანიზაციებთან გამჭვირვალე და სრულფასოვანი თანამშრომლობის ჩამოყალიბება და საზოგადოების ნდობის ამაღლება შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება.

შსს-ს ვებ გვერდი საზოგადოების ინფორმირების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია, რომელსაც სამინისტრო აქტიურად იყენებს. ვებ გვერდის განახლება ყოველდღიურად ხდება, სადაც მოცემულია ინფორმაცია საერთო კრიმინალურ სიტუაციაზე, ახალ ამბებსა და შსს-ში მიმდინარე მოვლენებზე, ინფორმაცია სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფების ფუნქციებსა და მოვალეობებზე, სტატისტიკური ინფორმაცია, და სხვ.

2010 წელს შსს ვებ გვერდზე პირველად გაკეთდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის სამმართველოს გვერდი, სადაც განთავსებულია ყველა ინფორმაცია დროებით მოთავსების იზოლატორებთან დაკავშირებით

(დებულება, სტრუქტურა), აგრეთვე იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სტატისტიკური მონაცემები, საჭირო ინფორმაცია, სამართლებრივი მექანიზმები, შიდა სახელმწიფოებრივი მექანიზმები, საკონტაქტო ინფორმაცია და ა.შ.

სასჯელაღსრუების დაწესებულებებში კი პატიმართა წერილობით ინფორმირება მათი უფლებების შესახებ მოხდა საჩივრის კონვერტების დარიგების შედეგად. (საჩივრის კონვერტებზე ინფორმაციისთვის, იხ. ქვეთავი: 2.6).

6.2. შინაგან საქმთა სამინისტროს დროებით მოთავსების იზოლატორში მოთავსებულ პირთა წერილობითი ინფორმირება მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ

დაკავებულთა ინფორმირება მათი უფლებების შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოსთვის ერთ-ერთ მთავარი პრიორიტეტია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მასშტაბით ყველა დმი-ში თვალსაჩინო ადგილას (საკნებთან და საგამოძიებო ოთახებთან), პლაკატების სახით განთავსებულია ბრალდებულის სახით დაკავებულთა პროცესუალური უფლებების ნუსხა და ადმინისტრაციული წესით დაკავებულთა პროცესუალური უფლებების ნუსხა 5 ენაზე (ქართული, რუსული, ინგლისური, აზერბაიჯანული, სომხური). დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, თუ დმი-ში ხდება უცხო ქვეყნის მოქალაქის მოყვანა, იზოლატორის თანამშრომელი უკავშირდება საელჩოს, რომელიც აგზავნის თავის წარმომადგენელს დმი-ში. საელჩოს თანამშრომელი ხვდება აღნიშნულ პირს და აცნობს მას საკუთარ უფლებებს.

აგრეთვე, შინაგან საქმეთა სამინისტრო პერიოდულად ბეჭდავს საინფორმაციო ბუკლეტებს 5 ენაზე (ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, ინგლისური), რომელთა განთავსებაც ხდება დროებით მოთავსების ყველა იზოლატორში მთელი საქართველოს მასშტაბით და ისინი ხელმისაწვდომია უკლებლივ ყველა დაკავებული პირისათვის დმი-ში შეყვანისთანავე.

შსს ამ კუთხით აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან. საანგარიშო პერიოდში ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის - „არასათანადო მოპყრობისა და დაუსჯელობის

აღმოფხვრა“ ფარგლებში, დაიბეჭდა 3000 საინფორმაციო ბროშურა, სადაც მიმოხილულია პატიმართა უფლებები და სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლების ვალდებულებები.

6.3. ფსიქიკური აშლილობის პირთა და მათი ოჯახის წევრთა ინფორმირება პაციენტთა უფლებების შესახებ

საქართველოში პაციენტის უფლებების დაცვა ხორციელდება საქართველოს კანონებით “ჯანმრთელობის დაცვის შესახებ” და “პაციენტის უფლებების შესახებ”. 2010 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის #108/ნ ბრძანება, რომელის თანახმად სტაციონარულ დაწესებულებებში სამედიცინო ჩარევის აუცილებელ და გარდაუვალ პირობას წარმოადგენს პაცინეტის ინფორმირებული თანხმობა. დაწესებულება ვალდებულია პაციენტს ინფორმაცია მიაწოდოს მისთვის გასაგებ ენაზე. პაციენტისათვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს არსებული პათოლოგიისათვის დამახასიათებელ ყველა თავისებურებას, მკურნალობის მეთოდებსა და მიზნებს, შესაძლო რისკს, გვერდით მოვლენებსა და მოსალოდნელ შედეგებს, რომლის თაობაზეც შესაბამისი ჩანაწერი კეთდება სამედიცინო ბარათში.

ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს ფინანსური მხადაჭერით 2011 წელს გამოიცა გზამკვლევი “წიგნი პაციენტებისთვის (ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა)”, რომელიც ხელს შეუწყობს პაციენტისა და მისი ოჯახის წევრების ინფორმირებას და გათვითცნობიერებას მათი უფლებების შესახებ.